



როცა ბალანსი დაცულია

საქართველოს  
ენერგოეფიციენსისა  
და წყალმომარაგების  
მარეგულირებელი  
ეროვნული  
კომისია


2013-2019 წლების საქმიანობის ანგარიში





# სარჩევი

|   |    |
|---|----|
| საკვანძო ცვლილებები ელექტროენერგეტიკის სექტორში | 5  |
| საკვანძო ცვლილებები ბუნებრივი გაზის სექტორში    | 8  |
| საკვანძო ცვლილებები წყალმომარაგების სექტორში    | 10 |
| სატარიფო პოლიტიკა                               | 12 |
| სალიცენზიო საქმიანობა                           | 15 |
| სალიცენზიო საქმიანობის კონტროლი                 | 17 |
| მომსახურების ხარისხის კონტროლი                  | 18 |
| მომხმარებელთა უფლებების დაცვა                   | 22 |
| საერთაშორისო ურთიერთობები                       | 24 |
| ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები             | 28 |
| მედია კომუნიკაცია                               | 29 |
| მმართველობითი ფუნქციები                         | 32 |



2013 წელს, საქართველოს მიერ ენერგეტიკულ თანამეგობრობაში (Energy Community) გაწევრიანების თაობაზე განაცხადის გაკეთების შემდეგ, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკ) განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდა. 2013 - 2019 წლებში ახლებურად ჩამოყალიბდა სემეკის სტრატეგია და ინსტიტუციური განვითარების კონცეფცია. სემეკმა პრიორიტეტად დაისახა გამჭვირვალობა თავის საქმიანობაში, მმართველობის სისტემის გაუმჯობესება, ენერგეტიკისა და წყალმომარაგების სექტორების განვითარება, არსებული კანონმდებლობის ევროპის ენერგეტიკულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზება, რეგულირებად სექტორებში მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება და მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით ინოვაციური პროექტების განხორციელება.

საქმიანობის პროცესში მნიშვნელოვანი და აუცილებელი იყო აქტიური თანამშრომლობა და მჭიდრო კავშირები როგორც რეგულირებას დაქვემდებარებულ საწარმოებთან, ასევე ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლობებთან საქართველოში, რომელთა უმეტესობა მდებარეობს ქ. თბილისში. აქედან გამომდინარე, 2014 წელს სემეკმა ქ. ქუთაისიდან ფუნქციონირება ქ. თბილისში გააგრძელა. რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბდა ახალი საკადრო სტრუქტურა პროფესიონალი და კვალიფიციური თანამშრომლებით, რომელიც საფუძველია ერთი მხრივ ენერგეტიკისა და წყალმომარაგების სექტორების განვითარების, ხოლო მეორე მხრივ მოსახლეობისათვის სანდო, საიმედო და ხარისხიანი მომსახურებების შეთავაზების.

2013-2019 წლებში განხორციელებული პროექტების მიზანს წარმოადგენდა სემეკის, როგორც მარეგულირებელი ინსტიტუტის მაღალკვალიფიციური საქმიანობა, რომელიც რეგულირებად სექტორებს გახდიდა უფრო მიმზიდველს პოტენციური ინვესტორებისათვის, ხოლო ბაზარზე არსებულ სუბიექტებს შეუქმნიდა განვითარების პერსპექტივებს. ამ მიზნით, გარდა უშუალოდ სემეკის მიერ ინიცირებული და განხორციელებული პროექტებისა, მიღებული გადაწყვეტილებებისა თუ გამოცემული დადგენილებებისა, კომისია აქტიურ მონაწილეობას იღებდა და იღებს ყველა იმ პროცესში, რომელიც მნიშვნელოვანია ენერგეტიკის, წყალმომარაგების, მომსახურების ხარისხის, მოქალაქეთა უფლებების დაცვისა და სხვა პრიორიტეტული მიმართულებებით.



## საკვანძო ცვლილებები ელექტროენერგეტიკის სექტორში

ელექტროენერგეტიკის სექტორის შემდგომი განვითარებისათვის დამტკიცდა „ქსელის წესები“, რომელიც:

- აერთიანებს გადამცემი და გამანაწილებელი ქსელის წესებს;
- მოიცავს გადამცემი და გამანაწილებელი ქსელების მართვის და ამ ქსელებით სარგებლობის პროცედურებს, პირობებს, პრინციპებსა და სტანდარტებს;
- ადგენს საბითუმო აღრიცხვის წესებს;
- აწესებს გადამცემ ქსელზე მიერთების საფასურებს;
- განსაზღვრავს გადამცემი და გამანაწილებელი ქსელის განვითარების გეგმების დამუშავებისა და განხორციელების სამართლებრივ საფუძვლებს.

განხორციელდა ევროპული რეგულაციების სრული ტრანსპოზიცია ეროვნულ კანონმდებლობაში. დაინერგა ევროკომისიის რეგულაცია №543/2013 გამჭვირვალობის შესახებ, რომლის საფუძველზეც უზრუნველყოფილია ბაზარზე მონაცემების ხელმისაწვდომობისა და გამოქვეყნების ვალდებულება.

ელექტროსადგურების, მომხმარებლებისა და მუდმივი დენის მოწყობილობების ქსელზე მიერთების ევროპული სტანდარტების მისადაგების მიზნით:

- დაინერგა ევროკომისიის რეგულაცია 2016/631/EC გენერაციის ობიექტების ქსელზე მიერთების მოთხოვნების შესახებ;
- დაინერგა ევროკომისიის რეგულაცია 2016/1388/EC მოხმარების ობიექტების ქსელზე მიერთების მოთხოვნების შესახებ;
- დაინერგა ევროკომისიის რეგულაცია 2016/14777/EC მუდმივი დენის მაღალი ძაბვის სისტემების და მუდმივი დენის წყაროების მოდულების ქსელთან მიერთების წესების შესახებ.

კომისიასთან შეთანხმებული გეგმა-გრაფიკის მიხედვით, ელექტროენერგეტიკული სისტემისთვის მნიშვნელოვანმა ელექტროსადგურებმა დაიწყეს ძაბვისა და სიხშირის ავტომატური რეგულატორების, SCADA-ს და სხვა მოწყობილობების რეაბილიტაციის პროცესი ქსელის წესების მოთხოვნების შესაბამისად. აღნიშნულის შედეგად:

- გაუმჯობესდა ავტონომიურ რეჟიმში სისტემის სტაბილური ფუნქციონირება;
- შეიქმნა საბალანსო ბაზრის/დამატებითი მომსახურების განვითარების წინაპირობები;



- დაიწყო განახლებადი ენერჯიების (მზე, ქარი) ათვისება.

დაიწყო გადაცემისა და განაწილების ლიცენზიანტების საინვესტიციო გეგმების შეთანხმება/დამტკიცება:

- კომისიამ განიხილა 5 ათწლიანი განვითარების და მის საფუძველზე კომისიაში წარმოდგენილი გადაცემის ლიცენზიანტების სამწლიანი გეგმები;
- კომისიამ შეითანხმა სს „თელასისა“ და სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ განვითარების ორი ხუთწლიანი გეგმა.

დაიხვეწა და განვითარდა რეგულირებადი საქსელო კომპანიების საქსელო აქტივების ინსპექტირების სისტემა:

- სემეკში შემოსული საჩივრების საფუძველზე და დაგეგმილი საინვესტიციო პროექტების განხორციელების, ახალი მიერთებების შესრულების ხარისხის გადამოწმების მიზნით, დაიწყო რეგულირებადი კომპანიების ადგილებზე ინსპექტირება;
- სემეკმა დაიწყო ელექტროენერჯიის ხარისხის პარამეტრების სტანდარტთან შესაბამისობის მონიტორინგი.

დამტკიცდა „ელექტროენერჯიის ნორმატიული დანაკარგების გაანგარიშების წესი“, რომელიც ადგენს გადაცემისა და განაწილების ლიცენზიანტების ელექტრულ ქსელებში ელექტრული ენერჯიის დანაკარგების ნორმატიული მნიშვნელობების გაანგარიშების პრინციპებს.

დაიწყო ქსელური დანაკარგების ნორმირება, რომელიც ტარიფის დადგენისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია და მისი რეგულირება ენერგოეფექტიანობის მნიშვნელოვანი ღონისძიებაა გარემოზე ნეგატიური ზემოქმედებისა და ემისიების შემცირების მხრივ. აღნიშნულის შედეგად 2018 წლის მონაცემებით, გადამცემ და გამანაწილებელ ქსელში ჯამური დანაკარგები 6.48%-ს შეადგენს, მაშინ როდესაც 2001 წელს დანაკარგების ოდენობა 18.53%-ი, ხოლო 2006 წელს 13.2%-ი იყო.

„ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში განისაზღვრა მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის სტატუსი:

- განახლებადი ენერჯიების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, სემეკმა დანერგა ახალი პროგრამა - „ნეტო აღრიცხვა“, რომელიც გულისხმობს ენერჯიის გამომუშავებას საკუთარი მოხმარებისათვის და ჭარბი რაოდენობის ქსელში „დაგროვებას“;



- 2019 წლის 30 ივლისის მდგომარეობით, სულ ქსელში ინტეგრირებულია 1.2 მგვტ დადგმული სიმძლავრის 108 მიკროსიმძლავრის ელექტროსადგური.

სემეკისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანამშრომლობით:

- განისაზღვრა საგადასახადო შეღავათები მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურით სარგებლობისათვის და ფიზიკური პირები გათავისუფლდნენ საშემოსავლო გადასახადისგან, ხოლო ორგანიზაციები - მოგების გადასახადისგან;
- „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ ფინანსთა მინისტრის ბრძანებაში აისახა მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მფლობელ საცალო მომხმარებელსა და განაწილების ლიცენზიატს შორის გამანაწილებელ ქსელში გადადინების შედეგად წარმოშობილი დღგ-ით დაბეგვრის საკითხები.

მნიშვნელოვნად გაიზარდა კომისიის ჩართულობა ელექტროენერგეტიკულ სექტორში არსებული მრავალწლიანი პრობლემატური საკითხების გადაწყვეტაში. კომისიის გადაწყვეტილებების შედეგად:

- ქ. თბილისის 21 ათასამდე აბონენტს მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ელექტრომომარაგების ხარისხი და საიმედოობა;
- მონიტორინგის ქვეშ მოექცა ქ. ბათუმში, ქ. თბილისსა და გარდაბნის მუნიციპალიტეტში ახალი მომხმარებლების ქსელზე მიერთების პროცესი, რაც გამოწვეული იყო თავისუფალი სიმძლავრეების დეფიციტით;
- სემეკმა ინტენსიურად იმუშავა გადამცემ ქსელში თავისუფალი მისაერთებელი სიმძლავრის განსაზღვრის მეთოდოლოგიის სახელმძღვანელო პრინციპებზე;
- სემეკის რეგულაციების საფუძველზე ელექტროენერჯის მიღების ინდექსით საქართველომ მსოფლიო ბანკის ანგარიშში „Doing Business 2017“ 65-ე ადგილიდან 39-ე ადგილზე გადაინაცვლა. ანგარიშში აღინიშნა, რომ საქართველოში გაუმჯობესდა ელექტროენერჯის მიწოდების საიმედოობა, რადგან დაწესდა საჭარიმო სანქციები ელექტროენერჯის მიწოდების შეწყვეტის საშუალო სიხშირისა (SAIFI) და გათიშვების საშუალო ხანგრძლივობის (SAIDI) დადგენილი ნორმების გადაჭარბებაზე. ახალი მიერთების პროცედურების რაოდენობით საქართველო გაუტოლდა საუკეთესო პრაქტიკის მქონე ქვეყნებს.



## საკვანძო ცვლილებები ბუნებრივი გაზის სექტორში

დამტკიცდა „ბუნებრივი გაზის ქსელის წესები“, რომელიც:

- განსაზღვრავს ტრანსპორტირების სისტემისა და გამანაწილებელი ქსელის მართვისა და ქსელით სარგებლობის პროცედურებს, პირობებსა და პრინციპებს, ბუნებრივი გაზის სექტორში მოქმედ კომპანიებსა და მათი მომსახურებით მოსარგებლე სუბიექტებს შორის ურთიერთობებს;
- არეგულირებს ისეთ საკითხებს, როგორცაა ტრანსპორტირების სისტემაზე მიერთება, ურთიერთობა სისტემით მოსარგებლესა და ტრანსპორტირების ლიცენზიატს შორის;
- განსაზღვრავს ბუნებრივი გაზის ხარისხობრივ მახასიათებლებს, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ტრანსპორტირების სისტემაში შემოსული ბუნებრივი გაზი;
- კონკურენციის განვითარების მიზნით, ადგენს გამჭვირვალობის სტანდარტებს და ბუნებრივი გაზის სისტემებთან დაშვებისათვის აუცილებელ მოთხოვნებს.

დამტკიცდა ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების სისტემაში და გამანაწილებელ ქსელში ნორმატიული დანაკარგების გაანგარიშების წესი, რომლის მიხედვითაც ნორმატიული დანაკარგების დადგენისათვის გამოიყენება წამახალისებელი რეგულირების პრინციპები და ემყარება შესაბამისი ლიცენზიანტის ქსელში გაზის დანაკარგების ფაქტობრივ მონაცემებს.

მოსახლეობისათვის ბუნებრივი გაზით სარგებლობის ხელშეწყობის მიზნით, გაიზარდა იმ დასახლებათა რაოდენობა, სადაც შესაძლებელია ბუნებრივი გაზის გამანაწილებელ ქსელზე მიერთება სემეკის მიერ დადგენილი მიერთების საფასურით (მათ შორის ე.წ „400 ლარიანი პაკეტით“):

- 400 ლარიანი პაკეტით გათვალისწინებულია მომხმარებელთა უფლება, მოითხოვონ მიერთების საფასურის განწილვა 16 თვეზე, აგრეთვე ერთი წერტილის მოწყობა და ბუნებრივი გაზის მოხმარების ერთი ხელსაწყო დაერთება;
- ამ პაკეტით სარგებლობა 2019 წლის 30 ივლისის მდგომარეობით შეზღუდულია 36 დასახლებულ პუნქტში, თუმცა ეტაპობრივად იგეგმება მათი ჩართვა საფასურის გავრცელების არეალში.

ბუნებრივი გაზის მოხმარებასა და ატმოსფერული ჰაერის ტემპერატურას შორის ურთიერთდამოკიდებულების შესწავლისათვის პირველად იქნა





გამოყენებული კლიმატის შესახებ სტატისტიკური მონაცემი - გრადუს დღე (Degree Day), რომელიც ზომავს დღის საშუალო გარე ტემპერატურასა და საბაზისო ტემპერატურას შორის სხვაობას. კვლევით დადგინდა, რომ გარემო ტემპერატურა არის უმთავრესი მიზეზი, რაც გავლენას ახდენს ბუნებრივი გაზის მოთხოვნაზე.

დაიწყო მუშაობა ბუნებრივი გაზის მოთხოვნის პროგნოზირების მოდელზე. მოთხოვნის სწორი პროგნოზირება მნიშვნელოვანი კომპონენტია ბუნებრივი გაზის სექტორში გრძელვადიანი ტარიფების დადგენისათვის, საინვესტიციო პროექტების საჭიროების დადგენისათვის და სექტორის ეფექტიანობის უზრუნველყოფისათვის საჭირო სხვა მიზნებისათვის.

ბუნებრივი გაზის სექტორში სემეკმა პირველად გამოიყენა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი და მის საფუძველზე დაადგინა ბაზრის მონაწილის მიერ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება. კომისიის გადაწყვეტილებით რეგულირებულ საწარმოს შეეზღუდა ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა.

სემეკის დავალებით ხელმისაწვდომი გახდა ბუნებრივი გაზის ხარისხისა და შემადგენლობის შესახებ ინფორმაცია, რომელიც გამოქვეყნებულია და ყოველდღიურად ახლდება ტრანსპორტირების ლიცენზიანტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

ბუნებრივი გაზის მოხმარების უსაფრთხოების გაზრდის მიზნით მომზადდა ცვლილებათა პაკეტი, რომელიც მოიცავს ცვლილების პროექტს რამდენიმე მოქმედ საკანონმდებლო აქტში და ასევე ტექნიკური რეგლამენტის პროექტს, რომლითაც უნდა მოხდეს მოხმარებელთა შიდა ქსელის შემოწმებასთან დაკავშირებული საკითხის დარეგულირება.



დამტკიცდა „სასმელი წყლის ნორმატიული დანაკარგების გაანგარიშების წესი“, რომელიც ადგენს:

- წყალმომარაგების მოქმედი ლიცენზიანტებისთვის წყალმომარაგების სისტემაში სასმელი წყლის ნორმატიული დანაკარგების ოდენობის გაანგარიშების პრინციპებსა და წესს;
- განსაზღვრავს იმ დასაშვები დანახარჯის კატეგორიებს, რომელიც შეიძლება აისახოს სასმელი წყლის ნორმატიულ დანაკარგში;
- ითვალისწინებს სასმელი წყლის დასაშვები ტექნიკური დანახარჯების შემცირების ვალდებულებას, რომლის განსაზღვრისას გამოყენებული იქნება საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული წამახალისებელი რეგულირების პრინციპები.

შემუშავდა წყალმომარაგების ლიცენზიანტების სალიცენზიო საქმიანობის კონტროლის გეგმა, რომლის ფარგლებშიც შემოწმდა ყველა ლიცენზიატის ინფრასტრუქტურა:

- შემოწმებების ფარგლებში თითოეული ობიექტისათვის მომზადდა წყალმომარაგების სისტემის სქემატური ნახაზი, წყალმომარაგების სისტემის შემადგენელი ელემენტებითა და ძირითადი ტექნიკური მახასიათებლებით;
- შედგა შესაბამისი წყალმომარაგების სისტემის განმარტებითი ბარათი, რომელიც მოიცავს შესწავლილი ობიექტების ცალკეული შემადგენელი ელემენტების ტექსტობრივ აღწერილობით ნაწილს.

სალიცენზიო მოთხოვნებში აისახა წყალმომარაგების კომპანიების ვალდებულება, უზრუნველყოს მომხმარებლისათვის შესაბამისი ხარისხის სასმელი წყლის უსაფრთხო, უწყვეტი და საიმედო მიწოდება და წყალარინება (მათ შორის, ჩამდინარე წყლის იზოლირება, გატარება, გაწმენდა და წყალსატევებში ჩაშვება) საქართველოში მოქმედი ტექნიკური რეგლამენტებისა და სტანდარტების შესაბამისად, რაც გულისხმობს:

- სასმელი წყლის წყალმომარაგებისა და წყალარინების საშუალებების სათანადო მდგომარეობაში შენარჩუნებას აუცილებელი სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების პერმანენტულად ჩატარების გზით;
- კომისიის მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომების გატარების შესაძლებლობას წყალმომარაგების ლიცენზიატის მიერ ამ სალიცენზიო მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში.



განისაზღვრა ახალი, შერეული ტიპის მომხმარებელი - საოჯახო ტიპის სასტუმროს მფლობელი, რომელიც სასმელ წყალს მოიხმარს როგორც საყოფაცხოვრებო, ასევე არასაყოფაცხოვრებო მიზნებით. ასეთი შერეული ტიპის მოხმარების შემთხვევაში, შემუშავდა სასმელი წყლის საფასურის დარიცხვის განსხვავებული წესი. წესი გულისხმობს წყალმომარაგების ლიცენზიანტთან საყოფაცხოვრებო ტარიფით ანგარიშსწორებას მოხმარებულ 25 მ<sup>3</sup>-მდე სასმელი წყლის ოდენობაზე.

წყალმომარაგების სექტორში გამრიცხველიანების პროცესის სტიმულირებისათვის, საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის გაუქმდა სასმელი წყლის მრიცხველის 100 ლარიანი გადასახადი. წყალმომარაგების ლიცენზიანტს დაეკისრა ვალდებულება, საყოფაცხოვრებო მომხმარებელს, რომელიც სასმელ წყალს იყენებს საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის, უფასოდ დაუმონტაჟოს მრიცხველი.

დაიწყო წყალმომარაგების ლიცენზიანტების საქმიანობის სისტემური მონიტორინგი. მნიშვნელოვნად გაიზარდა კომისიის ჩართულობა წყალმომარაგების სექტორში არსებული პრობლემატური საკითხების გადაწყვეტაში. კომისიის გადაწყვეტილებების შედეგად:

- დაიწყო ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების საკითხის შესწავლა;
- დაიწყო შპს „მარნეულის სოფწყალის“ წყალმომარაგების სისტემებში არსებული საქლორატორო დანადგარების ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისობის შესწავლა;
- მოწესრიგდა ქ. თბილისისთვის შემოერთებულ ტერიტორიებზე სასმელი წყლის მიწოდებისა და წყალარინების სისტემები;
- გაუმჯობესდა ქ. თბილისში მუხიანი 2-ის დასახლების წყალმომარაგების სისტემები.



## სატარიფო პოლიტიკა

2013-2019 წლებში თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩამოყალიბდა სატარიფო მეთოდოლოგიები ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორებში. ამ პერიოდში კომისიამ პრაქტიკულად უარი თქვა მემორანდუმების საფუძველზე ტარიფების დადგენის პრაქტიკაზე და სატარიფო რეგულირება მთლიანად დაუქვემდებარა კომისიის ნორმატიულ აქტებს - სატარიფო მეთოდოლოგიებს.


ელექტროენერგეტიკისა და წყალმომარაგების სექტორებში სატარიფო მეთოდოლოგიების ორ ეტაპიანი ცვლილება განხორციელდა:

- პირველ ეტაპზე, ორივე სექტორში მოქმედებდა ე.წ. „დანახარჯები პლუს“ მეთოდოლოგიები, რომელთა საფუძველზეც კომისია ყოველწლიურად ადგენდა ტარიფებს;
- რეგულირებადი საწარმოების მისაღები შემოსავლების სწორი და საიმედო პროგნოზირებისთვის, რამაც უნდა უზრუნველყოს ჯანსაღი საინვესტიციო გარემო, მნიშვნელოვანია ტარიფების დადგენა არა ყოველწლიურად, არამედ რეგულირების გრძელვადიან პერიოდზე, რაც ხელს უწყობს ფასების სტაბილურობას;
- მეორე ეტაპზე ამოქმედებული ახალი სატარიფო მეთოდოლოგიების საფუძველზე, ტარიფები დგინდება 3 წლით და, შესაბამისად, განისაზღვრება საპროგნოზო მონაცემების ტარიფში გათვალისწინების შესაძლებლობაც, მათ შორის კაპიტალური დანახარჯები თითოეული სატარიფო წლისთვის იმ ინვესტიციებზე, რომლებიც დადგენილი წესით თანხმდება კომისიასთან;
- შეთანხმებული და ტარიფში ასახული საინვესტიციო გეგმების შესრულება კომისიის მხრიდან მკაცრ მონიტორინგს ექვემდებარება.

ბუნებრივი გაზის სექტორში სატარიფო რეგულირების ანალოგიურ პრინციპებზე გადასვლის მიზნით დაწყებულია საჯარო ადმინისტრაციული წარმოება ბუნებრივი გაზის ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიაში ცვლილებების შეტანის თაობაზე. ისევე როგორც ელექტროენერგეტიკისა და წყალმომარაგების სექტორებში, „დანახარჯები პლუს“ რეგულირების მეთოდით ტარიფების ყოველწლიური გადათვლის შემდეგ, ბუნებრივი გაზის სექტორშიც გრძელვადიან სატარიფო რეგულირებაზე გადასვლა მიზანშეწონილი და სამართლიანია.

ახალ სატარიფო მეთოდოლოგიებში განისაზღვრა საერთაშორისო პრაქტიკით აღიარებული რეგულირების საუკეთესო მიდგომები, რომელიც:

2013-2019 წლებში ტარიფების დადგენის მიზნით ჩატარებული საჯარო ადმინისტრაციული წარმოებები



- ელექტროენერგეტიკა
- ბუნებრივი გაზი
- წყალმომარაგება




- ითვალისწინებს საოპერაციო დანახარჯების ოპტიმიზაციის მიზნით წამახალისებელ რეგულაციებს;
- იყენებს სამომხმარებლო ფასებითა და ეფექტიანობის ფაქტორით ინდექსირების მექანიზმებს;
- სტიმულებს აჩენს ინვესტიციების მოზიდვის კუთხით;
- ითვალისწინებს ფაქტობრივად განხორციელებული ინვესტიციების შესაბამისად ტარიფების კორექტირებას მომდევნო სატარიფო რეგულირების პერიოდისათვის;
- კორექტირების მექანიზმების დანერგვის გზით, უზრუნველყოფს საწარმოების მიერ ტარიფით მისაღები აუცილებელი შემოსავლების გაანგარიშებას მაქსიმალური სიზუსტით და შესაბამისად, მომხმარებლების მიერ გადახდილ ტარიფში მხოლოდ იმ დანახარჯების ასახვას, რომლებიც აუცილებელია მომხმარებლებისათვის უსაფრთხო, საიმედო და მაღალი ხარისხის მომსახურების მიწოდებისათვის.

მეთოდოლოგიები მიზნად ისახავს მომხმარებელთა დაცვას მონოპოლიური ფასებისაგან და ასევე, უზრუნველყოფს ინვესტორების ინტერესების დაცვას. სატარიფო რეგულირებას დაქვემდებარებულ ყველა საწარმოსათვის უზრუნველყოფილია:

- თანაბარ პირობებში სტაბილურად ფუნქციონირება;
- გაწეული გონივრული დანახარჯების ანაზღაურება;
- სამართლიანი მოგების მიღება.

დაინერგა ერთიანი საბუღალტრო-სააღრიცხვო სისტემა, რომელიც სავალდებულოა ელექტროენერჯის დისპეტჩინგის, გადაცემისა და განაწილების ლიცენზიანტებისთვის. აგრეთვე, შემუშავდა ერთიანი საბუღალტრო - სააღრიცხვო სისტემა ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირებისა და ბუნებრივი გაზის განაწილების იმ ლიცენზიანტებისთვის, რომელსაც ჰყავს არანაკლებ 50 000 მომხმარებელი. შედეგად:


- სატარიფო რეგულირებას დაქვემდებარებული ლიცენზიანტები ვალდებული არიან რეგულირებად საქმიანობასთან დაკავშირებული აქტივების, დანახარჯების და შემოსავლების აღრიცხვა აწარმოონ უნიფიცირებული წესით;
- უზრუნველყონ რამდენიმე საქმიანობისთვის საერთო დანახარჯების მიკუთვნება და გადანაწილება კომისიის მიერ განსაზღვრული დანახარჯების ალოკაციის პრინციპების შესაბამისად.



შემუშავდა ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორებისთვის „დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის წესების“ პროექტი, რომლის მიზანია:

- განისაზღვროს ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზის, წყალმომარაგების სექტორების ლიცენზიანტების და ბუნებრივი გაზის მიმწოდებლების სატარიფო რეგულირებისას განხორციელებული დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის წესი და პრინციპები;
- დადგინდეს, რამდენად სრულყოფილად ასრულებს სატარიფო რეგულირებას დაქვემდებარებული ლიცენზიანტი მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს კონკრეტული რეგულირებადი საქმიანობისათვის საჭირო დანახარჯების წარმოშობის, დასაბუთების, გონივრულობის და სათანადოდ აღრიცხვის კუთხით.

რეგულირებული სექტორებისათვის მომზადდა ინვესტიციების შეფასების წესის პროექტი, რომლის შესაბამისად დადგინდება სატარიფო რეგულირებას დაქვემდებარებული ლიცენზიანტების მიერ განსახორციელებელი საინვესტიციო გეგმებისა და მათი შემადგენელი პროექტების შეფასების, კომისიისათვის წარდგენის, კომისიის მიერ მათი შეთანხმების, აგრეთვე შეთანხმებულ საინვესტიციო გეგმებში ან/და პროექტებში ცვლილების შეტანის და მათი განხორციელების შესახებ ანგარიშგების წესი და პირობები.





## სალიცენზიო საქმიანობა

### ელექტროენერგეტიკის სექტორში

2013-2019 წლებში სულ გაიცა 13 ლიცენზია, მათ შორის:

- ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზია 12 ელექტროსადგურზე:
  - შპს „ენერჯია“ (ლარსიჰესი);
  - შპს „საქართველო-ურბან ენერჯი“ (ფარავანჰესი);
  - სს „დარიალ ენერჯი“ (დარიალჰესი);
  - შპს „აჭარ ენერჯი-2007“ (ხელვაჩაური ჰესი 1, კირნათი ჰესი);
  - შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“ (შუახევიჰესი);
  - სს „ოლდ ენერჯი“ (ოლდენერჯი ჰესი);
  - სს „სვანეთი ჰიდრო“ (მესტიაჭალა ჰესი 1, მესტიაჭალა ჰესი 2);
  - შპს „გარდაბნის თბოსადგური“ (გარდაბნის კომბინირებული ციკლის თბოელექტროსადგური);
  - შპს „საქნახშირი“ (ტყიბულის თბოელექტროსადგური);
  - შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური“ (ქართლის ქარის ელექტროსადგური);
- ერთი ლიცენზია:
  - სს „ენერჯო-პრო ჯორჯია გენერაცია“-ზე\*.
- გაიცა ელექტროენერჯის გადაცემის ერთი წინასწარი ლიცენზია (სს „ენერჯო-პრო ჯორჯია“).

გაუქმდა 2 ლიცენზია, მათ შორის:

- 1 განაწილების (სს „კახეთის ენერჯოდისტრიბუცია“);
- 1 წარმოების (სს „ზაჰესი“).

ლიცენზია  
**12** ელექტრო-  
სადგურზე



9 ჰიდრო



1 ქარი



2 თბო

\* რიონჰესი, ლაჭანურჰესი, ძეგრულჰესი, აწჰესი, გუმბათჰესების კასკადი, შაორჰესი, საცხენჰესი, ჩითახევჰესი, ორთაჭალჰესი, ზაჰესი

## ბუნებრივი გაზის სექტორში

2013-2019 წლებში მიმდინარეობდა ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიანტების გამსხვილების პროცესი. შესაბამისად, მცირდებოდა ლიცენზიანტების რაოდენობა. ამავდროულად, აქტიურად მიმდინარეობდა გაზიფიცირების პროცესი. ახლად გაზიფიცირებული დასახლებების სალიცენზიო არეალში დამატების მიზნით არაერთი ცვლილება შევიდა ბუნებრივი გაზის განაწილების მოქმედ ლიცენზიებში.

გაიცა: განაწილების 5 ლიცენზია:

- სს „საქორგაზი“;
- შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“;
- შპს „ინტერგაზი“;
- სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენი“;
- შპს „თელავგაზი“;

გაუქმდა განაწილების 35 ლიცენზია;

შეიქმნა სარწმუნო და მუდმივად განახლებადი რეესტრი სალიცენზიო არეალების შესახებ – ყველა გაზიფიცირებული არეალი ასახულია ლიცენზიებში.

## წყალმომარაგების სექტორში

გაუქმდა წყალმომარაგების 7 ლიცენზია. წყალმომარაგების საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების საფუძველს წარმოადგენდა როგორც ლიცენზიის მფლობელის მოთხოვნა, ასევე ლიცენზიანტების მიერ სალიცენზიო პირობების შეუსრულებლობა.

ამ პერიოდში წყალმომარაგების ახალი ლიცენზია არ გაცემულა.

**2013 წელი**  
**55** განაწილების  
ლიცენზიანტი

**2019 წელი**  
**25** განაწილების  
ლიცენზიანტი





## სალიცენზიო საქმიანობის კონტროლი

ენერგეტიკული ბაზრების ეფექტიანი მონიტორინგის მიზნით, შემუშავდა „ენერგეტიკული ბაზრების მონიტორინგის წესის“ პროექტი, რომლის მიზანია:

- ბაზრის დიზაინის ნაკლოვანებების შეფასება;
- საბაზრო ძალაუფლების გამოყენების შესაძლებლობების დადგენა;
- გადამცემი და გამანაწილებელი ქსელის ლიცენზიანტების მიერ დისკრიმინაციული ქმედებების განხორციელების პოტენციური საფრთხის დადგენა.

სემეკი მონიტორინგს უწევს შესაბამისი ლიცენზიანტების მიერ ელექტროენერჯის, ბუნებრივი გაზის და სასმელი წყლის მიწოდების წყვეტის საშუალო სიხშირისა (SAIFI) და საშუალო ხანგრძლივობის (SAIDI), მომარაგების საიმედოობის მარკენებლებს.

„მომსახურების ხარისხის წესებით“:

- ლიცენზიანტებს განესაზღვრათ მომარაგების საიმედოობის მარკენებლების მუდმივი გაუმჯობესების ვალდებულება;
- გათვალისწინებულ იქნა ფინანსური წახალისების მექანიზმები და სატარიმო სანქციები მომარაგების საიმედოობის მარკენებლების გაუმჯობესების/გაუარესების შემთხვევაში.

მომარაგების საიმედოობის მარკენებლების რეალურ დროში მონიტორინგი ხორციელდება ელექტრონული ჟურნალების მეშვეობით, რომელშიც შესაბამისი ლიცენზიანტი ასახავს დეტალურ ინფორმაციას მომარაგების ყოველი წყვეტის თაობაზე. ელექტრონულ ჟურნალში ინფორმაციის ასახვასთან ერთად, ლიცენზიანტი ვალდებულია ატვირთოს ამ ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რაც საშუალებას აძლევს კომისიას, შერჩევით გადაამოწმოს შეყვანილი ინფორმაციის სისწორე.

დაინერგა ანგარიშგების ელექტრონული სისტემა. კომისიის რეგულირებას დაქვემდებარებული ყველა საწარმოს მიერ პერიოდული ანგარიშგების წარმოდგენა ხდება ელექტრონულად, ამ მიზნით შექმნილი ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით:

- მიღებული ინფორმაციის დამუშავება ხდება სპეციალური ანალიტიკური პროგრამის - ელექტრონული მონიტორინგის სისტემის მეშვეობით, რომელიც უზრუნველყოფს სხვადასხვა საწარმოებთან დაკავშირებული ინფორმაციის შედარებას, შეცდომების იდენტიფიცირებას და დადასტურებული ინფორმაციის ბაზაზე ანალიზის გაკეთების შესაძლებლობას;

- საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, შემუშავდა ინდიკატორები, რომლებიც იძლევა საწარმოების მიერ განეული მომსახურების ხარისხისა და მათი ფინანსური, ტექნიკური და კომერციული მდგომარეობის შეფასების საშუალებას. ყოველივე ზემოაღნიშნულმა კომისიას მისცა შესაძლებლობა სისტემატურად შეაგროვოს თავსებადი ინფორმაცია, რომელიც იქნება სანდო და მრავალმხრივი.

## მომსახურების ხარისხის კონტროლი

მოქალაქეებისათვის გაუმჯობესებული მომსახურებების განევის უზრუნველყოფის მიზნით, შეიქმნა მომსახურების ხარისხის კონტროლის დეპარტამენტი, რომელსაც დაევალა:

- ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიანტების, წყალმომარაგების ლიცენზიანტების, ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიანტების ან/და ბუნებრივი გაზის მიმწოდებლების მიერ საცალო მომხმარებლებისთვის განეული მომსახურების კომერციული ხარისხის კონტროლი რეალურ დროში;
- კომპანიების მიერ მომსახურების მიწოდების პროცესში სისტემური ხარვეზების გამოვლენა;
- მომსახურების კომერციული ხარისხის გაუმჯობესების რეკომენდაციების შემუშავება.

დამტკიცდა „მომსახურების ხარისხის წესები“ ელექტროენერჯეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორებში, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა:

- საერთო სტანდარტები;
- გარანტირებული სტანდარტები;
- სტანდარტების დარღვევის შემთხვევაში მომხმარებელთა სასარგებლოდ გადასახდელი კომპენსაციების ოდენობა.

დაინერგა ელექტრონული მონიტორინგის სისტემა, რომლის მეშვეობითაც ხდება ანგარიშგება სტანდარტების შესრულებაზე. ელექტრონული მონიტორინგის სისტემის საშუალებით, კომპანიების მიერ განეულ მომსახურება კონტროლდება რეალურ დროში.

2017 წლის 1 ივლისიდან 2019 წლის 30 ივლისის ჩათვლით ელექტრონულ ჟურნალში დაფიქსირდა 4 მილიონამდე ჩანაწერი:

- გარანტირებული სტანდარტების დარღვევის გამო ქსელურმა

მომსახურების ხარისხის სტანდარტების დარღვევის გამო გადახდილი კომპენსაცია 5 მილიონ ლარზე მეტი

კომპანიებმა მომხმარებლებს კომპენსაციის სახით გადაუხადეს 5,157,185 ლარი. აქედან 4,824,530 ლარი გადახდილია ახალი მომხმარებლის ქსელზე მიერთების სტანდარტის დარღვევის გამო, ხოლო 332,670 ლარი – დანარჩენი გარანტირებული სტანდარტების დარღვევისთვის.

ენერგეტიკისა და წყალმომარაგების სექტორებში პირველად, კომისიის ინიციატივითა და ძალისხმევით განახორციელდა „მისტიური მომხმარებლის“ პროექტი:

- კვლევის ფარგლებში შემოწმდა როგორც ქ. თბილისში მოქმედი, ასევე საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მოქმედი განაწილებისა და წყალმომარაგების ლიცენზიანტების მიერ გაწეული მომსახურების ხარისხი;
- შემოწმების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე კომპანიებს მიეცათ რეკომენდაციები შესასრულებლად და განესაზღვრათ დრო დარღვევების აღმოსაფხვრელად.

მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით მუშავდება მომხმარებლის მომსახურების ხარისხის ამაღლების ინოვაციური პროექტი - ინტერაქტიული პორტალი მომხმარებლებისათვის. პორტალის მეშვეობით, მომხმარებელს ექნება საშუალება:

- დაფაროს ელექტროენერჯის, ბუნებრივი გაზისა და სასმელი წყლის დავალიანება;
- მიეცეს შეუზღუდავი წვდომა მის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის, ბუნებრივი გაზისა თუ სასმელი წყლის შესახებ დეტალურ ინფორმაციაზე;
- მიიღოს ინფორმაცია სამივე სექტორში მომარაგების წყვეტის, წყვეტის გამომწვევი მიზეზისა და მომარაგების აღდგენის დროის თაობაზე.

ევროპული კანონმდებლობის შესაბამისად, ელექტროენერგეტიკულ სექტორში განაწილებისა და მიწოდების საქმიანობების გამიჯვნის კვალდაკვალ, საცალო ბაზარზე დაშვებული იქნება დამოუკიდებელი მიწოდებლები. აქედან გამომდინარე, მუშავდება ვებ-პლატფორმა, სადაც მომხმარებელი შეძლებს სხვადასხვა მიმწოდებლიდან აირჩიოს მისთვის ოპტიმალური. აღნიშნულ სივრცეში მომხმარებელს ექნება შესაძლებლობა:

- დაწეროს განაცხადი;
- მიიღოს პასუხი;

- მოითხოვოს ქმედება;
- გაასაჩივროს კომპანიის გადაწყვეტილება, თუ თვლის, რომ მისი უფლებები დაირღვა.

სემეკის ინიციატივით, ენერგეტიკისა და წყალმომარაგების სექტორებში მომხმარებლების მიერ გარკვეული სახის კომუნალური მომსახურების მიღება იუსტიციის სახლში გახდა შესაძლებელი:

- მომხმარებლებს შესაძლებლობა მიეცათ იუსტიციის სახლის მეშვეობით მიმართონ ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორებში მოქმედ კომპანიებს აბონენტად რეგისტრაციის ცვლილების მოთხოვნით (მათ შორის, უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციისთანავე);
- მოქალაქეებისათვის სწრაფი და გამარტივებული მომსახურებების შეთავაზების მიზნით, სემეკმა უზრუნველყო ენერგეტიკისა და წყალმომარაგების სექტორებში მოქმედი კომპანიების პროექტში ჩართულობა;
- გრძელდება მუშაობა იუსტიციის სახლთან და შესაბამის საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან, რომლის შედეგადაც მომხმარებლებს იუსტიციის სახლის მეშვეობით მეტი კომუნალური მომსახურების მიღება შეეძლებათ.

დადგინდა ახალი მომხმარებლის ელექტროენერჯის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების ქსელებზე მიერთების ერთი კონტაქტით მომსახურების სტანდარტი. განისაზღვრა ლიცენზიანტის მიერ სრული ტექნოლოგიური ციკლით მომსახურების ვადები, რომლის დარღვევის შემთხვევაშიც:

- პირველ გადაცილებაზე მიერთების საფასური ნახევრდება;
- მეორე გადაცილებაზე - ნულდება;
- მესამე და ყოველ შემდგომ გადაცილებაზე ლიცენზიანტის მიერ გაიცემა კომპენსაცია მიერთების საფასურის 50%-ის ოდენობით.

მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ამოქმედდა ახალი რეგულაციები. სამივე სექტორში:

- განისაზღვრა მომარაგების გათიშვისა და ჩართვის შესახებ მომხმარებლის მოკლე ტექსტური შეტყობინებით დაუყოვნებლივი ინფორმირების ვალდებულება;
- დაზუსტდა შემთხვევები, როცა კომპანიას შეუძლია დეპოზიტის მოთხოვნა, ასევე, მომხმარებელს მიეცა დეპოზიტის ნაცვლად საბანკო გარანტიის წარდგენის შესაძლებლობა;

- აიკრძალა მომხმარებლის მიერ ზედმეტად გადახდილი თანხით ხანდაზმული (3 წელი და მეტი) დავალიანების დაფარვა, თუ ის მომხმარებლის მიერ არ არის აღიარებული. კომპანიებს ასევე დაევალებათ ქვითარში ასეთი დავალიანების განცალკევებულად ასახვა;
- შემუშავდა საგაღმწეო და სარეკომენდაციო ხასიათის განაცხადის ფორმები, რაც მომხმარებელს ეხმარება სწორი, სრულფასოვანი მოთხოვნის ჩამოყალიბებაში;
- რეგულირებად საწარმოებს დაევალებათ მათი მომსახურების ცენტრებისა და თანამშრომლების აღჭურვა მაიდენტიფიცირებელი ნიშნებით, რაც მომხმარებელს უმარტივებს მათთან ურთიერთობას.

ქსელების მშენებლობის გამარტივების მიზნით შემუშავდა რამდენიმე რეგულაცია:

- სემეკისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს თანამშრომლობით, ჩამოყალიბდა „ერთი სარკმლის პრინციპი“, რომელიც კომუნალური ქსელების მშენებლობაზე თანხმობის სწრაფად გაცემას და შედეგად, ახალი მომხმარებლების დროულ მიერთებას ემსახურება;
- სემეკისა და მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თანამშრომლობით, [www.my.gov.ge](http://www.my.gov.ge)-ს პორტალზე ინერგება „ნებართვების ერთიანი ელექტრონულ სივრცე“, რაც ლიცენზიანტებს სხვა ქსელური კომპანიების თანხმობის ელექტრონულად მოპოვების საშუალებას მისცემს.





ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორებში მომხმარებლებსა და კომპანიებს შორის არსებული დავების შესასწავლად და დარღვევების აღმოსაფხვრელად კომისიაში შეიქმნა მოქალაქეთა საჩივრების დეპარტამენტი, რომელსაც დაევალა რეგულირებად სექტორებში არსებული სადავო საკითხების შესწავლა და სისტემური დარღვევების აღმოფხვრა.

საქართველოს რეგიონებში ჩამოყალიბდა სემეკთან არსებული მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის ოფისები, რათა სრულად მომხდარიყო მომხმარებელთა უფლებების დაცვა და ინფორმირება რეგიონებში სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებზე. დღეისათვის, მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის ოფისები განთავსებულია ქ. ქუთაისში, ქ. ბათუმსა და ქ. თელავში, სადაც მოქალაქეებს კონსულტაციებს უწევენ და კომპანიებთან სადავო საკითხების მოგვარებაში ეხმარებიან პროფესიონალი კადრები.

დამტკიცდა სადავო საკითხების პროცედურული წესი, რომლის მიზანია:

- დაადგინოს ლიცენზიანტებს, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურებს, იმპორტიორებს, ექსპორტიორებს, მიწოდებლებს, ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა და მომხმარებლებს შორის წარმოქმნილი სადავო საკითხების განხილვის პროცედურები;
- განსაზღვროს კომპანიების მიერ ადმინისტრაციული სახდელის დადების, თანხის დარიცხვის კანონიერებასთან დაკავშირებული სადავო საკითხების განხილვის ერთიანი სამართლებრივი სტანდარტი.

2013-2019 წლებში კომისიამ განიხილა 30 000-ზე მეტი სადავო საკითხი:

- 2013 წლიდან 2019 წლის 30 ივლისის მდგომარეობით, კომისიის გადაწყვეტილებებით, მოქალაქეთა სასარგებლოდ ჩამოწერილი თანხების ოდენობამ ჯამში 16 მილიონ ლარს გადააჭარბა.

## მოქალაქეებს ჩამოეწერათ 16 მილიონ ლარზე მეტი

კომისიამ 2017-2018 წლები მომხმარებელთა უფლებების დაცვის წლად გამოაცხადა და განხორციელებული აქტივობებიც მიმართული იყო მომხმარებელთა მაქსიმალური ინფორმირებისაკენ მათი უფლებების შესახებ.

მოქალაქეებისათვის სემეკთან ურთიერთობის გამარტივების მიზნით შეიქმნა **ქოლ ცენტრი - 16 216**, რომელზეც ხარის განხორციელება უფასოა ნებისმიერი ოპერატორიდან.



## საერთაშორისო ურთიერთობები



სემეკის საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან მჭიდრო ურთიერთობებია. უცხოელ კოლეგებთან სისტემატური თანამშრომლობა, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარება, ეხმარება კომისიას საკუთარი მისიის შესრულებაში, ზრდის კომისიის ინსტიტუციონალურ შესაძლებლობებს და ხელს უწყობს რეგულირების პროცესის გაუმჯობესებას.



სემეკს მიენიჭა ევროპის ენერჯეტიკის მარეგულირებელთა საბჭოს (CEER) დამკვირვებლის სტატუსი და მიიღო CEER-ის გენერალურ ასამბლეასა და სამუშაო ჯგუფების შეხვედრებში მონაწილეობის უფლებამოსილება.

სემეკის წევრი გიორგი ფანგანი ენერჯეტიკული გაერთიანების (Energy Community) მარეგულირებელი საბჭოს (ECRB) პირველი ქართველი პრეზიდენტი გახდა.



მჭიდრო თანამშრომლობა ჩამოყალიბდა კომუნალური სამსახურების მარეგულირებელი ორგანოების ეროვნულ ასოციაციასთან (NARUC) და აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან (USAID). NARUC-ის მხარდაჭერით ხორციელდება შემდეგი მნიშვნელოვანი პროექტები:

- ტექნიკური დახმარება ნეტო აღრიცხვის შესახებ;
- ტექნიკური დახმარება გამანაწილებელი ქსელის დაგეგმვის შესახებ;
- ტექნიკური დახმარება ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ქსელის წესების შესახებ;
- ინიციატივა კიბერ უსაფრთხოების შესახებ შავი ზღვის ენერჯეტიკის მარეგულირებლებისათვის;
- რეგიონული საბალანსო ბაზრის ინტეგრირების პროექტი.



კომისია ენერჯეტიკის მარეგულირებელთა რეგიონული ასოციაციის (ERRA) დამფუძნებელი და სრულუფლებიანი წევრია:

- 2014 წელს კომისიის წევრი გორა შონია აღნიშნული ორგანიზაციის პრეზიდენტის წევრი გახდა;
- 2018 წელს კი, პრეზიდენტში კომისიის წევრი მათა მელიქიძე აირჩიეს.



განხორციელდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული საჯარო სამსახურების დაძმობილების (თვინინგი) პროექტი „საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის შესაძლებლობების გაძლიერება ელექტროენერჯის წამახალისებელი სატარიფო მეთოდოლოგიის განახლებით“.



პროექტი განხორციელდა ავსტრიის ენერჯეტიკის მარეგულირებელი ორგანოს (E-Control) მონაწილეობით. პროექტის შედეგად შემუშავდა ელექტროენერჯის ახალი სატარიფო მეთოდოლოგიები, რომლებიც სრულად ითვალისწინებს საუკეთესო პრაქტიკასა და საერთაშორისო გამოცდილებას.

2017 წელს დასრულდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული 1 მილიონი ევროს ღირებულების ორწლიანი თვინინგის პროექტი, რომელსაც ახორციელებდა ავსტრიის მარეგულირებელი უწყება - E-Control-ი, ლიტვის ენერჯეტიკული კონტროლისა და ფასების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (NCC), ავსტრიის ენერჯეტიკული სააგენტო და გერმანიის მარეგულირებელი კომისია - BNetzA; პროექტის მიზანს წარმოადგენდა სემეკის შესაძლებლობების გაძლიერება დანახარჯების მარეგულირებელ აუდიტსა და ბაზრის მონიტორინგში.

ამჟამად მიმდინარეობს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული თვინინგის პროექტი „მომსახურების ხარისხის წამახალისებელი მარეგულირებელი ჩარჩოსა და „ჭკვიანი“ აღრიცხვის მარეგულირებელი სტრატეგიის შემუშავების შესახებ“. პროექტი 21 თვის განმავლობაში გაგრძელდება და მოიცავს სამ კომპონენტს:

- წამახალისებელი რეგულირებისა და „ჭკვიანი“ აღრიცხვის შესახებ ევროკავშირის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით სემეკის შესაძლებლობების გაძლიერება;
- მომსახურების ხარისხთან და მიწოდების საიმედოობასთან დაკავშირებული ნორმების პროექტების შესაბამისობაში მოყვანა ევროკავშირის კანონმდებლობასთან;
- „ჭკვიანი“ აღრიცხვის დანერგვის ხელშეწყობის მიზნით მარეგულირებელი სტრატეგიის შემუშავება.

პროექტის განმახორციელებელ პარტნიორებს ერთობლივად წარმოადგენენ ავსტრიის მარეგულირებელი ორგანო (E-Control), საფრანგეთის ენერჯეტიკის მარეგულირებელი კომისია (CRE) და საბერძნეთის ენერჯეტიკის მარეგულირებელი ორგანო (RAE).

განხორციელდა USAID-ის მიერ დაფინანსებული „ჰიდროგენერაციისა და ენერჯეტიკის დაგეგმვის პროექტი“ (HPEP), რომლის მიზანი იყო საქართველოს საბაზრო ეკონომიკაზე დაფუძნებული ინიციატივების მხარდაჭერა ჰიდროენერჯეტიკულ სექტორში ინვესტიციების სტიმულირებისათვის. HPEP-ის დახმარებით შემუშავდა გადაცემის ქსელის წესები.

- სემეკსა და HPEP-ის თანამშრომლობით შემუშავდა ერთიანი საბუღალტრო-სააღრიცხვო სისტემის (USoA) პროექტი, რომლის მიზანია ერთიანი წესების შემოღება ლიცენზიანტების მიერ ფინანსური ინფორმაციის ერთიანი ფორმით აღრიცხვისათვის.

2017 წელს განხორციელდა „კომისიის საკონსულტაციო მხარდაჭერის შესახებ“ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მიერ დაფინანსებული პროექტი რომელსაც კომპანია DNV.GL – Kema Consulting GmbH ახორციელებდა. პროექტის მიზანი იყო:

- დანაკარგების გაანგარიშება ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის სექტორში;
- მომსახურების ხარისხის რეგულირება როგორც ელექტროენერჯის ასევე, ბუნებრივი გაზის სექტორში;
- პროექტი ასევე ეხებოდა ბუნებრივი გაზის სექტორში ლიცენზირებას, ინვესტიციების შეფასებას, საქმიანობების დაყოფას, ანგარიშების დაყოფასა და ანგარიშთა ერთიანი საბუღალტრო-სააღრიცხვო გეგმის იმპლემენტაციას.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) დაფინანსებით განხორციელდა პროექტი ელექტროენერგეტიკული ბაზრის მოდელთან დაკავშირებით. ასევე, პროექტი ტექნიკური დახმარებისა და ინფორმაციის გაცვლის (TAIEX) საქართველოს ახალი ელექტროენერგეტიკული ბაზრის მოდელის იმპლემენტაციის და ენერგეტიკის სექტორში მომხმარებლის ინფორმირებულობის შესახებ.

განხორციელდა აზიის განვითარების ბანკის (ADB) მიერ დაფინანსებული პროექტი „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის შესაძლებლობების გაძლიერების შესახებ“. პროექტი ითვალისწინებდა წყლის სექტორში მოქმედი კომპანიებისათვის ფინანსური მენეჯმენტის წესების, ტარიფებისა და ქსელში დანაკარგების გაანგარიშების მეთოდოლოგიების, მომსახურების სტანდარტებისა და შესრულების ძირითადი მაჩვენებლების შემუშავებას.

განხორციელდა აზიის განვითარების ბანკის (ADB) პროექტი წყალმომარაგების სექტორში „დანახარჯები პლუს სატარიფო მეთოდოლოგიისა და რეგულირებადი საწარმოებისთვის ტექნიკური სტანდარტების შემუშავების, ასევე წყლის მიწოდების კომპანიების ფუნქციური განცალკევების შესახებ“.



აზიის განვითარების ბანკის მხარდაჭერით ურბანული მომსახურებების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობდა პროექტი „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის შესაძლებლობების გაძლიერების შესახებ“, რომელიც განახორციელეს კომპანიებმა MVV Decon და Grant Thornton-მა.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) დაფინანსებით განხორცილდა პროექტი „საკონსულტაციო მხარდაჭერა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიისათვის“. პროექტი მოიცავდა ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორებში მოქმედი ნორმატიული აქტების ჰარმონიზებას ევროპის ენერგეტიკულ კანონმდებლობასთან და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას.

დანის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ხორციელდება პროექტი ენერგოეფექტიანობასთან დაკავშირებით. პროექტის ფარგლებში განიხილება ენერგოეფექტიანობასთან, მონაცემთა შეგროვებასთან, ვერიფიკაციასთან, დამუშავებასა და ქსელში განახლებადი ენერჯის იმპლემენტაციასთან დაკავშირებული საკითხები.

სემეკი მონაწილეობს USAID-ის მიერ დაფინანსებულ პროექტში „მმართველობა განვითარებისთვის“ (G4G), რომელიც მიზნად ისახავს კონკურენტული ბიზნესგარემოს შექმნასა და ეკონომიკური რეფორმების განხორციელებას მთავრობასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის კონსტრუქციული დიალოგის გზით, რაც ხელს უწყობს საერთაშორისო დონეზე ელექტროენერჯით ვაჭრობასა და მარეგულირებელი ორგანოს გაძლიერებას.

სემეკმა „ელექტროენერჯის მიღების“ მიმართულებით გატარებული რეფორმების შესახებ გამოცდილება გაუზიარა მოლდოვასა და ქუვეითის სახელმწიფოს წარმომადგენლებს, პოლიტიკისა და მართვის საკონსულტაციო ჯგუფის (PMCG) ორგანიზებით. სემეკში სტაჟირება გაიარეს უკრაინის მარეგულირებელი კომისიის თანამშრომლებმა.

სემეკის თანამშრომლები, როგორც მინვეული ექსპერტები, გამოცდილებას უზიარებენ და კონსულტაციებს უწევენ სხვადასხვა მარეგულირებელ კომისიებს.



## ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები

სემეკსა და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს შორის გაფორმებული მემორანდუმის მიზანია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული აუდიტორების/ აუდიტორული ფირმების ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განსახორციელებლად რისკების მართვის ხელშეწყობა და ამ მიზნით მხარეებს შორის თანამშრომლობა.



სემეკსა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს შორის გაფორმებული მემორანდუმის მიზანია ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორებში არსებული სტატისტიკური მონაცემების ხარისხის გაუმჯობესება, სტატისტიკური ინფორმაციის დროული და ხარისხიანი მიწოდება დაინტერესებული მხარეებისათვის.



სემეკსა და კონკურენციის სააგენტოს შორის გაფორმებული მემორანდუმის მიზანია კონკურენციის სფეროსთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავება, ენერგეტიკის სექტორში კონკურენციის დარღვევის/სავარაუდო დარღვევის ფაქტების შესწავლა და რეაგირება.

ენერგეტიკისა და წყალმომარაგების სექტორებში სტუდენტთა განათლების ხელშეწყობის, ცნობიერების ამაღლების მიზნით სემეკმა გააფორმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები:

- საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან;
- ქ. ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან.



სემეკის სხვადასხვა დეპარტამენტში სტაჟირება გაიარა 33-მა სტუდენტმა და სასწავლო პრაქტიკა - 29 სტუდენტმა.



რეგულირების საკითხებში ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი:

- სემეკსა და შოტლანდიის წყლის მარეგულირებელ კომისიას შორის;
- სემეკსა და პორტუგალიის წყლისა და წყალარინების მომსახურების მარეგულირებელ ორგანოს (ERSAR) შორის;
- სემეკსა და აშშ-ის მიჩიგანის კომუნალური მომსახურების კომისიას შორის;





- სემეკსა და სომხეთის საჯარო მომსახურების მარეგულირებელ კომისიას შორის;

დაიწყო თანამშრომლობა წყლის საერთაშორისო ასოციაციასთან (IWA) და წყლის მარეგულირებელთა ევროპულ ქსელთან (WAREG).

## მედია კომუნიკაცია



სოციალურ ქსელებში ამოქმედდა კომისიის პროფილები, რომლის საშუალებითაც მოქალაქეებს შეუძლიათ მიიღონ კონსულტაციები და ამავე დროს, გაეცნონ სემეკის ყოველდღიურ საქმიანობას.



შეიქმნა და ამოქმედდა სემეკის ახალი ვებ გვერდი, სადაც განთავსდა სემეკის საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია. მათ შორის, ყველაზე მოთხოვნადი - ტარიფების გაანგარიშებები, სატარიფო მეთოდოლოგიები, სემეკის სხვადასხვა დადგენილებები და გადაწყვეტილებები.



განხორციელდა რებრენდინგი, რომლის შედეგადაც შეიქმნა კომისიის ახალი ლოგო, სლოგანი და შემუშავდა კომუნიკაციის სტრატეგია. რებრენდინგის მიზანი იყო კომისიის საქმიანობის თანხვედრა საზოგადოების ინტერესებთან.



2013 წლიდან სემეკმა დაიწყო აქტიური თანამშრომლობა არასამთავრობო სექტორთან და დარგის ექსპერტებთან. მათ სისტემატურად მიეწოდებათ ინფორმაციები კომისიის საქმიანობასა და საკვანძო საკითხებზე.

განხორციელდა მედია კამპანია არაქართულენოვანი მოსახლეობისათვის. აღნიშნული კამპანიის ფარგლებში, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე მომხმარებელთა უფლებების შესახებ ინფორმაცია ვრცელდებოდა როგორც რეგიონალური ბექდური მედიის, ასევე ტელევიზიების საშუალებით.

მოეწყო „ღია კარის“ დღეები, რომლის ფარგლებშიც კომისიის თავმჯდომარე და წევრები უშუალოდ ხვდებოდნენ მოქალაქეებს, ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორებში მათი უფლებების დაცვის მიზნით.

სემეკის საქმიანობის შესახებ ინფორმირებულობისათვის მედიის წარმომადგენლებისა და არასამთავრობო სექტორისათვის შეიქმნა „მედია კლუბი“, რომლის ფარგლებშიც პროექტები დღემდე ხორციელდება. მონაწილეებს ამომწურავად მიეწოდებათ ინფორმაცია ენერგეტიკისა და წყალმომარაგების სექტორებში მიმდინარე პროცესებზე.

კომისიისა და რადიო „კომერსანტის“ თანამშრომლობის შედეგად, 2014 წლიდან დღემდე გადაცემა „პროფესიონალებში“ კომისიას უსასყიდლოდ ეთმობა რადიოეთერი, რომლის საშუალებითაც დარგის წარმომადგენლები განიხილავენ ენერგეტიკისა და წყალმომარაგების სექტორებში მიმდინარე საკვანძო საკითხებს. გადაცემა „პროფესიონალებს“ უძღვება სემეკის ელექტროენერგეტიკის დეპარტამენტის დირექტორი, ნუგზარ ბერიძე.

## საქმიანობის საჯაროობა

დაინერგა საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების ვალდებულება და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი, რომლის შესაბამისადაც კომისია უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებას კომისიის ვებ გვერდზე – [www.gnerc.org](http://www.gnerc.org)

ამოქმედდა პროაქტიული გამოქვეყნების წესი, რომლითაც განისაზღვრა სემეკში არსებული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე განცხადების ელექტრონული ფორმით წარდგენის სტანდარტი, საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხა და გამოქვეყნების წესი.

557

საჯარო  
სხდომა

253

დადგენილება

11 930

გადაწყვეტილება

408

განცხადება  
საჯარო  
ინფორმაციის  
გაცემაზე

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე კომისიაში შემოვიდა სულ 408 განცხადება. აქედან:

- სრულად დაკმაყოფილდა 312 განცხადება;
- ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 83 განცხადება;
- არ დაკმაყოფილდა 12 განცხადება;
- განუხილველი დარჩა 1 განცხადება.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) კომისიას 2015 წელს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის გაუმჯობესებისათვის გადასცა სპეციალური ჯილდო. IDFI-ს ანგარიშში, რომელიც 2010-2015 წლებში საქართველოში ინფორმაციის თავისუფლების მდგომარეობას შეეხება, აღინიშნა, რომ 2015 წელს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი ყველაზე მეტად ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის შემთხვევაშია გაუმჯობესებული.

კომისიაში დაინერგა ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამა;

შეიქმნა კომისიის შიდა ელექტრონული პორტალი, რომელზეც განთავსებულია კომისიის საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა სახის ინფორმაცია;

შეიქმნა კომისიის ელექტრონული უწყებრივი არქივი, რომელიც მოიცავს კომისიაში 1996 წლიდან არსებულ დოკუმენტებსა და საქმეებს ელექტრონული სახით და სპეციალურ საცნობარო-საძიებო სისტემას;

ინერგება პერსონალის შეფასების სისტემა. მომზადდა კომისიის შესრულების მართვის მოდელი;

რეგულირების საფასურის კოეფიციენტი შემცირდა 0.002-მდე;

დაინერგა რეგულირებას დაქვემდებარებულ კომპანიებთან ურთიერთობის ელექტრონული პროგრამა.







ქოლცენტრი  16 216

თბილისი 0194, მიცკევიჩის ქ. 19, [www.gnerc.org](http://www.gnerc.org)